

# ამერიკის ბიზნესის აკადემია



## სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია

ბრძ. N2/26, 15.05.2013

თბილისი  
2013

## **თავი 1. ზოგადი დებულებები**

1.1 ესწესიარეგულირებს შპს თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიაში (შემდგომში აკადემია) სასწავლო პროცესს, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებასა და შეწყვეტას, მობილობას, რეესტრში სტუდენტთა რეგისტრაციის წესს, მობილობის შედეგად საგნების აღიარებას, აღიარებულისაგან მანათლებლო პროგრამების თავსებადობას და გაუქმებას, კვალიფიკაციის მინიჭებას, სახელშეკრულებო ურთიერთობებს სტუდენტსა და აკადემიას შორის.

1.2 აღნიშნული წესი ეფუძნება „უმადლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს და ყველა იმ ნორმატიულ აქტებს, რომელიც გამოცემულია აღნიშნული კანონების შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

## **თავი 2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი და ხარისხის მინიჭება**

2.1 აკადემიის საბაკალავრო პროგრამების შემუშავება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით. პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, შეფასებას გადის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროგრამის დამტკიცებაზე;

2.2 აკადემია ახორციელებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, მოცულობა - 240 კრედიტი;

2.3 შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო კრედიტების დაგროვებისა და კომპეტენციების გამომუშავების (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები) შემდეგ აიცმა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი: „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით;

## **თავი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება**

3.1 ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

3.2 დაწესებულებაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (კოეფიციენტებით აბიტურიენტთა შესაბამისი რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე).

3.3 ეროვნული გამოცდების შედეგებისა და აკადემიაში სწავლის უფლების მოპოვების შემდეგ სტუდენტმა უნდა გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, რაც გულისხმობს სარეგისტრაციო საბუთების შემოტანას და ხელშეკრულების გაფორმებას;

3.4 აკადემიაში ჩარიცხულ სტუდენტს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

პირველი სასწავლო წლის სწავლების საფასურის 25 % გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; გრანტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი იხდის აკადემიაში დადგენილ სწავლის საფასურსა და გრანტის ოდენობას შორის სხვაობას; სწავლის საფასურის სემესტრების მიხედვით გადახდისას, პირველ სემესტრში სტუდენტი იხდის სწავლის საფასურსა და გრანტს შორის სხვაობის მეოთხედს;

- სკოლის ატესტატის დედანი ან ნოტარიულად დადასტურებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და მისი ასლი;
- ორი ფოტოსურათი ზომით 3X4;
- ვაჟების შემთხვევაში სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და იმ გვერდების ასლი, სადაც მოცემულია ინფორმაცია მფლობელის შესახებ;
- დაბადების მოწმობის ასლი.

3.5 ზემოთაღნიშნული დოკუმენტაცია (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნისა და სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნისა) ინახება სტუდენტის პირად საქმეში. სტუდენტს შეუძლია განცხადების საფუძველზე განსაზღვრული ვადით გამოითხოვოს პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია. ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

3.6 დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, აბიტურიენტთან ფორმდება ხელშეკრულება და მონაცემები შეიყვანება ერთიან სტუდენტურ ბაზაში.

3.7 აკადემიაში საბაკალავრო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

#### **თავი 4. სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება**

4.1 აკადემიაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, პირი ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება რეგისტრაციის პერიოდში;

4.2

სასწავლო ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნას უშუალოდ სტუდენტის მიერ;

4.3

სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ორგანიზაციის მხრიდან, ერთი გზემპლარი რჩება სტუდენტთან, ხოლო მეორე ინახება სტუდენტის პირად საქმეში;

#### **თავი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება აკადემიურ პროგრამებზე**

5.1 სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებული იქნას არაუმეტეს 5 წლის ვადით.

სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილებას სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულების განგანთავისუფლებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

5.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი დირექტორის მოადგილესთან შეთანხმებით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

5.3 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადაში არგავლასემესტრის დაწყებამდე არანაკლებ 1 დღით ადრე, რისთვისაც საჭიროა 3.4-ში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენა;

ბ) აკადემიური შვებულება;

გ) პასუხისგებაში მიცემასასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

დ) პირადი განცხადება;

ე) ფინანსური დავალიანება (ფინანსურ დავალიანებაში მოიაზრება სტუდენტის მიერ წლიური სწავლის საფასურის იმ ნაწილის გადაუხდელობა, რომელიც გადახდილი უნდა იქნას დასკვნით გამოცდამდე);

ვ) ავადმყოფობა;

ზ) საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

თ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა (გამონაკლისი დაიშვება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ყოველ მესამე დღეს მსახურობენ);

5.4 სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

ა) საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება;

ბ) ხანგრძლივი შრომის უუნარობა;

გ) ოჯახური პირობები.

5.5 პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება აკადემიის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში;

## თავი 6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

6.1 სტუდენტის სტატუსის აღდგენა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით; სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა პირისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

6.2 სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა ხდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესში;

6.3 სტუდენტის სტატუსის აღდგენა აკადემიაში შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლისა;

6.4 სტუდენტის სტატუსის აღდგენა,

იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის მიერ განსაზღვრული სტუდენტის საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით.

ამ შემთხვევაში სტუდენტის საერთო რაოდენობის ზევითჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკ

ლდებამომდევნოსასწავლოწლისათვისდაწესებულებისმიერდადგენილსტუდენტთამისაღებიად გილებისრაოდენობას.

## **თავი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და აღდგენა**

7.1სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- ბ) პირადი განცხადება;
- გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი (თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებებში გადაყვანის შემთხვევაში);
- დ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცყოფასტუდენტების, მასწავლებლის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარეპერსონალის მიმართ;
- ე) შეფასების მიღების მცდელობა გამოცდაზე დაუშვებელიხერხებით და მეთოდებით (მუქარა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლით);
- ვ) სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება.

7.2სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

7.3საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსი შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით, გარდა სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში;

7.4დაწესებულების სტატუსშეწყვეტილი სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის გაგრძელების დასაშვები სემესტრი განისაზღვრება გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის დადგენილი წესების შესაბამისად, სტატუსის შეწყვეტამდე ათვისებული პროგრამის აკადემიური ცნობის საფუძველზე.

## **თავი 8. მობილობა**

8.1 საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობის პროცედურა აკადემიაშირეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით – „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“;

8.2მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

8.3 მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება

ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

8.4 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომამდე თორმეტი თვის განმავლობაში, რადგან დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.

8.5 სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირება:

ა) სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ბ) სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის შექმნილია ცენტრის ელექტრონული პორტალი, რომელზეც აისახება დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მობილობის მსურველთა მონაცემები და ქვეყნდება დაწესებულებაში მობილობის წესით ჩარიცხვის კანდიდატთა სია.

გ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დგინდება:

- დაწესებულებების მიერ მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
- მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;
- მობილობით წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარმოდგენის ვადა;
- ელექტრონული პორტალის წარმოების წესი.

8.6 მობილობის უფლების შეზღუდვა:

ა) მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ბ) მობილობის უფლება აკადემიურ პროგრამებზე სტუდენტს წარმოეშობა: უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ; სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აკადემია ლიკვიდირებული იქნება უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

8.7 შიდა მობილობა აკადემიურ პროგრამებზე

ა) სტუდენტის შიდა მობილობა დასაშვებია ერთი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ (იგულისხმება ის დრო რომლის განმავლობაშიც სტუდენტს ჰქონდა აქტიური სტატუსი) ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება ახალი ხელშეკრულება მისი ჩარიცხვის პერიოდისათვის შესაბამის პროგრამაზე სწავლის გადასახადით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტს

გაუფორმდება ხელშეკრულება პროგრამაზე სწავლის მიმდინარე გადასახადის გათვალისწინებით.

ბ) სტუდენტის შიდა მობილობა დასაშვებია დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში წელიწადში ორჯერ მობილობის ვადის ამოწურვამდე 2 დღით ადრე.

გ) შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შიდა მობილობის შედეგებს ორი კვირის ვადაში აწვდის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

**8.8 შიდა მობილობის პროცედურა:**

ა) აკადემიაში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის მსურველი სტუდენტი მომდევნო სემესტრისთვის (სასწავლო წლისთვის) რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე განცხადებით მიმართავს დირექტორს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მობილობის მიზანშეწონილად ცნობის შემთხვევაში შესაბამის შუამდგომლობასწარუდგენს დირექტორს. ხელშეკრულების გაფორმებისა და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ გამოიცემა დირექტორის ბრძანება, რის შემდეგაც სტუდენტმა რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე უნდა გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია.

ბ) შიდა მობილობით სტუდენტების მოძრაობა არ მოითხოვს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე დარეგისტრირებას;

გ) შიდა მობილობით სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარება ხორციელდებაწინამდებარე წესით და კანონმდებლობით დადგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

დ) შიდა მობილობით გადაყვანილი სტუდენტების შესახებ გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ბრძანებით დადგენილ ვადებში;

ე) შიდა მობილობით სტუდენტთა გადაყვანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ აისახება სტუდენტურ ბაზაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

**8.9 მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა**

ა) აკადემიურ პროგრამებზე მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონუპორტალზე რეგისტრაციით.

## **თავი 9. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა-აღიარება**

**9.1 აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები:**

ა) დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

ბ) აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

დ) დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

ე) დაწესებულება უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მაგ. თუ სხვა უსდ-დან გადმოსულ სტუდენტს სხვადასხვა საგანში მიღებული აქვს ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“, მაშინ ხდება მისი აღიარება და შესაბამისი ქულის მითითება შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპების შესაბამისად (შეფასების 5 ბალიანი სისტემის ერთი ბალი ტოლია 20 ქულისა, შეფასების 100 ბალიან სისტემაში). ე.წ. არანიშნისანი „ჩათვლის“ აღიარება ხდება, როგორც გამსვლელი, 51 ქულა. თუ სტუდენტის უსდ იყენებს არა ECTS კრედიტებს, არამედ განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ მოძიებულ უნდა იქნას ამ სისტემის შესაბამისობა საერთო ევროპულ ECTS კრედიტების სისტემასთან. თუ სტუდენტის უსდ-ს არ გააჩნია საკრედიტო სისტემა, მაშინ სტუდენტის სასწავლო ბარათში მითითებული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირა ისწავლა სტუდენტმა ეს სასწავლო კურსი და კვირაში რამდენი საათი ეთმობა მას). აღნიშნულ საგანს უნდა მიენიჭოს კრედიტის ის რაოდენობა, რაც დაწესებულებაში ანალოგიური მოცულობის სხვა სასწავლო კურსებს აქვთ (კრედიტების მინიჭების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები).

9.2 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

9.3 დაწესებულება უფლებამოსილია საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები, რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

9.4 აღიარება ფორმდება აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტი თხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის რეკომენდაციით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე, აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

9.5 აკადემია, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

9.6 აკადემია უფლებამოსილია გააფორმოს შეთანხმება (მემორანდუმი) პროგრამების ურთიერთაღიარების შესახებ. ამ შემთხვევაში მემორანდუმის მონაწილე დაწესებულებებს



შორის სტუდენტების მობილობის შედეგად მათი ჩარიცხვა ხდება პროგრამის აღიარების გამარტივებული, მემორანდუმით გათვალისწინებული წესით;

9.7 დაწესებულების უარი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო დისციპლინის აღიარებაზე უნდა იყოს დასაბუთებული;

9.8წინამდებარე რეგულაცია ეხება როგორც საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი (აღიარებული) წესით ათვისებულ კრედიტებს, ასევე, უცხოეთში აღებულ კრედიტებს.

9.9 თუ აკადემიამ სტუდენტს უღიარა კრედიტები და მანსწავლა განაგრძო შესაბამისისემესტრიდან, კვალიფიკაციის მისანიჭებელი კრედიტებისდასაგროვებლად სტუდენტსშეიძლება მოუწიოს დამატებითისემესტრის გავლა, რის შესახებაც მას წინასწარ უნდა ეცნობოს.

9.10 ის საგნები, რომელიც სტუდენტს არ უღიარდა შესაბამისი კურიკულუმის ფარგლებში, მაგრამ კრედიტი აღებულია, მიმღები დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ასახოს დიპლომის დანართში.

9.11 დაწესებულება ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

## **თავი 10. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების შეფასების სისტემა და კრიტერიუმები**

10.1 შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთჯერ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბოლოო შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

10.2 შეფასების ფორმები საბაკალავრო პროგრამებზე:

კურსის შუალედური სემესტრული და საბოლოო შეფასების ჯამური ქულა არის 100, რომელიც მოიცავს:

- შუალედური სემესტრული შეფასება - 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

10.3 შუალედური სემესტრული შეფასება (60 ქულა) შედგება:

შუალედური გამოცდა - 20 ქულა - ტარდება წერთი ფორმით. გამოკითხვის ფორმა - ტესტური ანკომბინირებული. სხვადასხვა აქტივობა - 40 ქულა (ფასდება სემესტრის განმავლობაში დისკუსია-დებატებში მონაწილეობით, პრეზენტაციით, საშინაო დავალების შესრულებით და ა.შ. კურსის სპეციფიკასთან შესაბამისად).

10.4 შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

10.5 დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის გასვლა სავალდებულოა.

10.6 სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ მას შუალედურ (სემესტრულ) შეფასებებში დაგროვილი აქვს მინიმუმ 11 ქულა.

10.7 გამოცდის ჩატარების წესები:

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებების საფუძველზე დაგროვილი აქვს არანაკლებ 11 ქულა;

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტის სემესტრული და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამი შეადგენს არანაკლებ 51 ქულას;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის გასვლა სავალდებულოა;

10.8 სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) დანიშნულ გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

ბ) გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;

გ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. "შპარგალკა") გამოყენება;

დ) გამოცდის ჩაშლის მცდელობის ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამოაუდიტორიიდან გამოძევება;

ე) გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 41%-ზე ნაკლების მიღება.

დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადდება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით;

10.9 გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობები:

ა) 41-დან 51 ქულამდე (Fx) სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე იმავე სემესტრში;

ბ) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე (F) ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

გ) სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში, დასკვნით გამოცდიდან არანაკლებ 10 დღისა;

დ) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის ანარადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია;

ე) ნიშნის ამაღლების მიზნით სტუდენტს ეძლევა საშუალება 3 დღის ვადაში მიმართოს დეკანატს.

10.10 სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება

ა) სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ შესასრულებელი სამუშაოს წარმატებით დასრულების შემდეგ.

ბ) სასწავლო კურსის ხელახლა გავლისათვის სტუდენტმა შესაბამისი განცხადებითუნდა მიმართოს დეკანატს;

დ) კონკრეტული სასწავლო კურსის აუთვისებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საგნებზე, რომლებიც არ ითვალისწინებენ წინაპირობად კონკრეტულ აუთვისებელ საგნებს;

ე) სტუდენტის მიერ თითოეულ სემესტრში დაგროვებული კრედიტების რაოდენობა ადეკვატურად აისახება მის პირად საქმეში;

ვ) სავალდებულო კრედიტების დაგროვების მიზნით სტუდენტს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ დამატებით სემესტრში წინამდებარე წესის შესაბამისად.

## **თავი 11. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება**

11.1 აკადემია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს სთავაზობს ისეთ სასწავლო პროგრამას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმკვალიფიკაციის მინიჭება, რაც მიიღწეოდა იმ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ;

11.2 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში აკადემია სტუდენტს აძლევს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების შესაძლებლობას.

11.3 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თანავე, აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას გაუქმებული პროგრამის ხანგრძლივობაზე და ხელს უწყობს დაწესებულების ფარგლებში სხვა მიმდინარე პროგრამაზე ან სხვა უსდ-ში გადასვლას;

11.4 პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დასაშვებია მხოლოდ მომიჯნავე პროგრამების გაერთიანება. გაერთიანებული პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ გავლილ სასწავლო კურსებს შესაბამისი კრედიტებით.

## **თავი 12. დამატებითი სემესტრის გავლა**

12.1 საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.

12.2 სტუდენტს დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განესაზღვრება შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის შესაბამისად იმ დროისათვის აკადემიაში აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებული საფასურის შესაბამისად.

**თავი 13. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომის გაცემა**

13.1 აკადემიური განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების (კურიკულუმით განსაზღვრული კრედიტების ათვისების) შემდეგ ურდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და გაცემა შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი - „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით, თუ სტუდენტმა დააგროვა 240 კრედიტი და

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოადგინა ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3-ის (05.01.2007) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად;

ბ) სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური ენა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

გ) სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისურისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 437 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 41 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 4,0 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ PET

დ) ამ თავის 13.1 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნა არ ვრცელდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე 2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

13.2 აკადემიის მიერ დიპლომისგანათლების დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №126/ნ-ით (22.07.2011) დამტკიცებული „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად;

13.3 დაწესებულება დიპლომთან ერთად გასცემს დიპლომის ფორმას, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N149-ით (05.04.2005) დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის ფორმის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისი.

#### **თავი 14. სწავლის საფასური**

14.1 აკადემიაში სწავლის საფასური დგინდება დირექტორის მიერ მის მიერ გამოცემული სამართველრივი აქტის საფუძველზე.

#### **თავი 15. სასწავლო პროცესის ორგანიზება**

15.1

აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია სწავლება დასტუდენტთა მიღწევების შეფასება განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 (05.01.2007) ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს სტანდარტებისა და აკადემიის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის დადგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

15.2 სასწავლო პროცესის ორგანიზება ევალება დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში;

15.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დეკანთან ერთად ვალდებულია აწარმოოს სწავლებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების პროცესის მუდმივი მონიტორინგი;

15.4 სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა

ა) აკადემიაში სწავლება არის სემესტრული: შემოდგომის სემესტრი და გაზაფხულის სემესტრი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 21 კვირას.

ბ) 1 კრედიტი ტოლია 25 საათის.

გ) აკადემიაში I-VII და IX-XVI კვირას ტარდება ლექცია/პრაქტიკული, XVII კვირას- კონსულტაცია (წინასაგამოცდო), VIII კვირას ტარდება შუალედური გამოცდა, XVIII - XIX კვირას ინიშნება დასკვნითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდიდან 10 დღის შემდეგ (XX - XXI კვირის ბოლომდე) ინიშნება განმეორებითი გამოცდა მათთვის, ვინც მიიღო შეფასება - FX (41-50 ქულა) ან საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა დასკვნით გამოცდაზე.

დ) საპატიო მიზეზით შუალედურ გამოცდაზე ვერ გამოცხადების შემთხვევაში აღდგენა შესაძლებელია XVII კვირას.

ე) სწავლებაწარმართებასაგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ფორმით, რომელიც მითითებულია შესაბამის პროგრამასა და სილაბუსებში;

ვ) სტუდენტის შედეგები აისახება სტუდენტის პირად საქმეში.

15.5 სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

**ა) სწავლა-სწავლების ფორმები:**

**ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით; ლექციის სახეებია: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია-პრეზენტაცია.

**პრაქტიკული მეცადინეობა** - სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობა პრაქტიკული სახის ამოცანებზე, ან სემინარული ტიპის თემატიკაზე, სალექციო კურსის შესაბამისად;

**სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.

**საწარმოო (პროფესიული) პრაქტიკა** - სასწავლო მეცადინეობის სახე, რომლის პროცესში სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებულ საწარმოო დავალებებს მოქმედ ორგანიზაციაში.

**ბ) სწავლა-სწავლების მეთოდები:**

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**- გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი**- ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ მიღებული ცოდნა და ინტენსიურად ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ მომზადებული პრეზენტაციები, განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;

**პრეზენტაცია** - ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

**დემონსტრირების მეთოდი** - გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას და გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმა. შედეგის მიღწევის

თვალსაზრისით იგი ეფექტურია. შესაძლოა, მასალა ერთდროულად ელექტრო ტექნიკური და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს.

**ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**საქმიანი (როლური) თამაშები** - სხვადასხვა სიტუაციებში, წინასწარ დადგენილი წესებით, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების იმიტაციური მეთოდი (რეალურ ობიექტზე ექსპერიმენტების ჩატარების გარეშე მოვლენის შინაარსის გაცნობიერება) სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ორგანიზაციის გზით. იგი სტუდენტებისათვის სინამდვილესთან მიახლოებულ სიტუაციაში ადეკვატური ქცევის ნორმების შეცნობის საშუალებაა, რომელიც აუცილებლად მოიცავს თამაშის მიზნის, დავალების, პირობების და წესების გაცნობას.

**ინდუქციური მეთოდი** - სწავლის პროცესში დახმარებას უწევს აზრის მსვლელობას კერძოდან (კონკრეტულისაკენ) ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

**დედუქციური მეთოდი** - ცოდნის გადაცემის ისეთი ხერხია, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის გამომჟღავნების ლოგიკური პროცესია, ანუ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ პროცესის მიმდინარეობის მართვაა.

**ანალიზის მეთოდი**- გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

**სინთეზის მეთოდი**- გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“ს დანახვის უნარის განვითარებას.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** - სწავლების მეთოდია, რომელიც ახალი ცოდნის მიღების დაინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;

**გონებრივი იერიშის**- მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც გულისხმობს დავალების ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად შესაძლებელი (შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული) მოსაზრების, იდეის ჩამოყალიბებასა და პრეზენტაციას, კერძოდ: პრობლემის დასმა ან საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკისგარეშე ჩანიშვნა; გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი დამოუკიდებლად ირჩევენ იმ მეთოდებს, რომელიც პასუხობს კურსის სწავლების სპეციფიკას და მითითებულია სილაბუსებში.

15.6 აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის არჩევითი კომპონენტების (არჩევითი და თავისუფალი კრედიტები) არჩევის წესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამიდან სტუდენტს საშუალება ეძლევა შეარჩიოს მისთვის სასურველი არჩევითი საგნები პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, რის შესახებაც სტუდენტი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში განაცხადით მიმართოს დეკანატს.

#### **თავი 16. რეესტრის წარმოება**

16.1 აკადემია ვალდებულია აწარმოოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №127/ნ -ით (22.07.2011) დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

#### **თავი 17. დასკვნითი დებულებები**

17.1 წინამდებარე წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;

17.2 წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანებით.